ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ზიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

29 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 227 (10 396) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სვეტი ოზილისის სპორტის სასახლეში

ფრიად საინტერესო ტურნირი

საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერი ნომერში

გავათამაშოთ „დამოუკიდებლობის თასი“

გთავაზობთ ასეთ წინადადებას: ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ჩემპიონატში და საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულებმა — ვილნიუსის „ჟალგირისმა“ და თბილისის „იბერიამ“ — გაითამაშონ „დამოუკიდებლობის თასი“. გამარჯვებული გამოვლინდეს სამი მატჩის შედეგების მიხედვით — შინ, სტუმრად და ბოლოს, ნეიტრალურ მოედანზე. ვფიქრობ, არაერთი რესპუბლიკის ცენტრალური სტადიონი თანახმა იქნება უმასპინძლოს ამ თამაშს.

ვაგან კარაპეტიანი,
სომხეთის ინოვაციურ საწარმოთა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

პირველი ნაბიჯები

ცნობები მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციიდან

● **გუშინ,** საქართველოს სპორტხახკომის თავმჯდომარის ნ. ენდელაძის განკარგულებით, ასოციაციას სპორტხახკომის შენობაში გამოეყო დროებითი ბინა (ჭავჭავაძის, 49).

● ასოციაციის პირველადი ამოცანა — გამაჯანსაღებელი კლუბი შეიქმნა მთაწმინდის რაიონში.. კლუბის შექმნაში საინიციატივო ჯგუფს დიდი დახმარება გაუწია რაისაბჭოს აღმასკომმა. კლუბის თავმჯდომარედ დამფუძნებელმა კრებამ ჯ. ქამუშაძე აირჩია.

● თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კანკავამ გვაცნობა, რომ დედაქალაქში ასოციაციის გამაჯანსაღებელი კლუბების შექმნა, თბილისის სპორტკომიტეტის უშუალო დახმარებით 15 დეკემბრამდე დამთავრდება.

● ასოციაციისა და „ლელოს“ რედაქციის წინადადებით თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 7 სექტემბრის დადგენილებით (ოქმი № 6) გამაჯანსაღებელი კლუბისთვის დიდ დიღომში პეტრიწის ქ. № 15-ში გამოყო არასაცხოვრებელი ფართობი, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ლეკიშვილი თვლის, რომ პრეზიდიუმის დადგენილება განუხრელად უნდა შესრულდეს და ორგანიზაციამ, რომელმაც არაკანონიერად დაიკავა აღნიშნული ფართობი, გასაღები დაუყოვნებლივ გადასცეს კლუბის საბჭოს. თუ ეს პროცესი კიდევ გაჭიანურდა, „ლელო“ ახლო მომავალში ვრცელ მამხილებელ წერილს შესთავაზებს მკითხველებს ბიუროკრატიული აპარატის წყალობით სხვადასხვა ინსტანციებში დადგენილების შესრულებისადმი წაყრუებისა და ძალმომრეობის ფაქტებთან დაკავშირებით.

26 მაისის სახელობისა? რატომაც არა!

ამ დღეებში „ლელოში“ დაგვირეკა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ალექსანდრე ყიფიანმა, რედაქციაში კი გვეწვია „ვაკის“ (უფროსი „ლოკომოტივის“) სტადიონის დირექტორი გივი ჭანტურიძე. ორივემ ერთი და იგივე საუბარი გაგვიზიარა: როგორ მოხდა, რომ სტადიონს ოფიციალურად ეწოდა „ვაკე“?

„ლელომ“ ადრე რამდენიმე წერილი მიუძღვნა ამ საკითხს. საზოგადოებრიობა და, რაც მთავარია, როგორც თვით ამ სპორტული ბაზის მუშა-მოსამსახურეები, ისე ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელები, მოითხოვდნენ, რომ სტადიონი 26 მაისის სახელობისა ყოფილიყო. ამ წინადადებას ასაბუთებდნენ კიდეც. რკინიგზის სამმართველოდან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „რკინიგზის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა მხარი დაუჭირეს „ლოკომოტივის“ სტადიონის მუშა-მოსამსახურეთა წინადადებას. დამფუძნებელ კონფერენციაზე კოლექტივმა წინადადება წამოაყენა სტადიონს ეწოდოს 26 მაისის სახელი. ეს წინადადება კონფერენციაზე ერთხმად მიიღეს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ხაზოგადოებრიობის თხოვნა და მოგვცეთ იურიდიული უფლება, სტადიონი გადვდეს „26 მაისის“ სახელობისა“.

გავიხსენოთ: 1919 და 1920 წლებში 26 მაისს სწორედ აქ ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული დღესასწაული. წლეულს პროგრესულმა ეროვნულმა ძალებმა იმავე ადგილზე საზეიმოდ აღნიშნეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 72 წლისთავი.

ხაზოგადოებრიობა შეეჩვია იმ აზრს, რომ სტადიონი 26 მაისის სახელობისაა. ახე იწერებოდა პრესაში და ახე იწერება დღესაც. განა შეიძლება ახე ადვილად უარვყოთ ოფიციალური თხოვნა-წინადადება და ხაზოგადოებრივი აზრი?

ველით პასუხს.

სარბიელზეა სლავა მეტრეველი ს... პრიზი

ზუსტად წელიწადი გავიდა, რაც თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე ჩატარდა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ მესხის პრიზის გათამაშება—პირველი საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. და აი, გულშემატკივრები ახლა ემზადებიან სპორტის დამსახურებული ოსტატის სლავა მეტრეველის „სახელობითი“ ტურნირისათვის. კვლავ საქართველოს დედაქალაქის სპორტის სასახლე, კვლავ სინთეტური საფარი — დასავლეთგერმანული ფირმა „პოლიგრასის“ უკვე კარგად ნაცნობი „მოხასხასე ბალახი“. სამი დღის განმავლობაში იქნებიან სპორტის მოყვარულები საფეხბურთო ზეიმის მოწმენი—ვეტერანთა 8 საუკეთესო გუნდის, მათ შორის ოთხი საზღვარგარეთულის, საინტერესო ბრძოლისა პოპულარული ფეხბურთელის პრიზზე.

პირველი ინტერვიუსათვის, ტრადიციულად, ტურნირის ორგანიზატორს — საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს კახი ასათიანს შევხვდით.

● **მაშ ახ[illegible] დიდი ფეხბურთის სამი დღე...**

— მაპატიეთ, მაგრამ ოთხი დღე. საქმე ისაა, რომ 29 ნოემბერს იწყება თამაშ[illegible] სპორტის სასახლის პრიზზე. სასპარეზ[illegible] კამოვლენ ახალგაზრდა (16 წლის ასაკის) ფეხბურთელები. ო[illegible]მ მათი ფინალური ასპარეზ[illegible] მთავარი ტურნირის დღეს — 2 დეკემბერს გაიმართება, ვაქტიურად აერთიანებს ამ ორ შეჯიბრებას.

● **იქნება ახალგაზრდათა ასპარეზობის მონაწილეთა შემადგენლობაც გაგვაცნოთ?**

— ესენი არიან პირველ ჯგუფში მოასპარეზენი: თბილისის „დინამო“ და ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა, ზუგდიდის „დინამო“, ქუთაისის „ქუთაისი“ და რუსთავის „გორდა“, მეორე ჯგუფში იბრძოლებენ „ავაზა“ და 35-ე საფეხბურთო სკოლა, ბათუმის „დინამო“, ოზურგეთის „მერცხალი“ და ხობის „კოლხეთი“.

● **ბარემ აქვე დიდ ტურნირში მონაწილე გუნდებიც ჩამოვთვალოთ...**

— ბასკ (ესპანეთი) ფეხბურთელთა გუნდი, ზაარბრიუკენისა (გერმანია) და ვარშავის (პოლონეთი) ნაკრებები, „გალათასარაი“ (თურქეთი), ლატვიისა და მოსკოვის ნაკრებები, კიევის „დინამო“, ერევნის „არარატი“ და მასპინძელი — საქართველოს ვეტერანთა ნაკრები. ტურნირში მონაწილეობენ 35 წლის ასაკს გადაცილებული ფეხბურთელები, მატჩები 12-12-წუთიანი ორ-ორი ტაიმისაგან შედგება. ეი ფინალურ შეხვედრებს კი, 15-15-წუთიანი ტაიმებით ჩავატარებთ. ალბათ მკითხველთათვის საინტერესოა, თუ ვინ უხელმძღვანელებს მსაჯთა კორპუსს. ესენი არიან ჩვენი ყველაზე ცნობილი არბიტრები: ნესტორ ჩხატარაშვილი და გიორგი ბაჭანიძე.

● **რა დასამალია და ჭართველ გულშემატკივრებში განსაკუთრებულ ინტერესს ბასკ ფეხბურთელთა ჩამოსვლა იწვევს. ისინი ხომ თბილისში პირველად და უკანასკნელად ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ იყვნენ—1937 წლის ივლისში. მახსოვს, რა ენერგიულად იღვწოდით შარშან, ზაფხულში, ბასკი ფეხბურთელები ივენი სასიქადულო ბორის პაიჭაძ[illegible] საიუბილეო დღეებში რომ [illegible] ნენ თბილისს, მაგრამ, [illegible] დაც ვიცი, ორგანიზატორთ[illegible] ლი მეცადინეობა წყალში [illegible] რა „ცენტრის“ ცნობილი [illegible] კიდებულების გამო.**

— ამჯერად მაინც მივაღწიეთ სასურველ სტუმართა ჩამოსვლას. ბასკეთიდან 15-კაციანი დელეგაცია ჩამოდის ვენა—მოსკოვის ავიამარშრუტით. ფეხბურთელებთან იქნებიან პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებიც, რომელთა შესახებ სან[illegible]სებასტიანიდან საგანგებოდ გადმოცემულ ტელექსში გვატყობინებს ბასკთა ფეხბურთის ერთ-ერთი თავკაცი აპალატეგუი. სტუმრები ბასკეთიდან ტურნირის სხვა მონაწილეებთან ერთად სასტუმრო „აჭარაში“ იცხოვრებენ. დავძენ, რომ ყველაზე დიდი საზღვარგარეთული დელეგაცია თურქეთიდან გვესტუმრება—25 კაცი.

● **მაინც ვის ვიხილავთ კონკრეტულად სპორტის სახახლის „ბალახზე“, ცხადია, უცხოელ ფეხბურთელთა გარდა, რომელთა ვინაობა ჯერ არაა ცნობილი?**

— მოსკოველებს: ევგენი ლოვჩევს, ვლადიმერ პილგუის, მიხაილ გურშკოვიჩს, ნიკოლაი ოსიანინს, იური გავრილოვს; კიეველებს: ანდრეი ბიბას, იოზეფ საბოს, ევგენი რუდაკოვს, ვიქტორ კოლოტოვს, ქართველ ფეხბურთელებს: ოთარ გაბელიას, დავით გოგიას, თამაზ კოსტავას, ნოდარ ხიზანიშვილს, ალექსანდრე ჩივაძეს, დავით მუჯირს, მანუჩარ დარგოჩა მაჩაიძეებს, ვახტანგ კოპალეიშვილს, ვახტანგ ჭორიძეს, თენგიზ სულაქველიძეს, რევაზ ჩელებაძეს, რამაზ შენგელიას, ლევან ნოდიას. ჩვენი გუნდის მწვრთნელია გივი ნოდია, კაპიტანი—მანუჩარ მაჩაიძე.

● **მიხეილ მესხის ტურნირზე „რეგლამენტის“ გარდა კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა — ტაშკენტის „ოქროს მატჩის“ მონაწილეების: თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ვეტერან ფეხბურთელთა შორის...**

იხ. ველ-3 გვ.

ტურნირის აფიშის და პროგრამის ყდის რეპროდუქცია

ᲐᲮᲛᲔᲚᲝ, ᲨᲝᲒᲘᲚᲘ ᲤᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜ...

„შევარდენი“ ქუთაისში

ქუთაისში „შევარდენის“ დაარსებას წინ უძღოდა ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ საქმიანობა, რომელიც 1910 წელს შეიქმნა და სოკოლური გამოსვლები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი გაზეთი „კოლხიდა“ 1911 წლის 27 მარტს მკითხველებს აუწყებდა: „25 მარტს სავაჟო გიმნაზიაში, ესრეთ წოდებულ „სოკოლე ის“ დღესასწაული იყო დანიშნული. წარსული წლის ენკენის თვიდან გიმნასტიკის სავარჯიშოდ საგანგებო მასწავლებელია მოწვეული და როგორც გავიგეთ, მოსწავლენი დიდის გულმოდგინებით ეკიდებიან. ხარება დღეს შედგა ამ ვარჯიშობის უნდა ეჩვენებინათ, მაგრამ დღესასწაული უამინდობის გამო სხვა დროისათვის გადაიდო“.

ირკვევა, რომ ერთი თვის შემდეგ, კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებს პირველი საჭვენებელი გამოსვლა მოუწყვიათ, რამაც ქუთათურების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. იმავე „კოლხიდას“ კიდევ ერთი ცნობა: „გუშინ 24 აპრილს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ეზოში გაიმართა შევარდენელთა ვარჯიში. საზოგადოება ბლომად დაესწრო. შევარდნებმა შემდეგი სავარჯიშო შეასრულეს: მე-2 და მე-3 კლასის მოწაფეებმა ივარჯიშეს ჯოხებით, მათვე ითამაშეს: „ივანე სად ხარ?“ „კატას თაგვი შია“ და „ტყვეობა“. მე-4, მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებმა შეუნივრად შეასრულეს თავისუფალი მოძრაობა ფიგურებისა. გიმნასტიკური სავარჯიშოები რაც კი უფროსი კლასის მოსწავლეებმა აასრულეს! მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა საზოგადოებაზე, რომელიც ტაშით აჯილდოებდა მოვარჯიშეთ. მოვარჯიშეთა სისწრაფემ, სიმარჯვემ და სიმარდემ მოლოდინს გადააჭარბა“.

ფრიად საყურადღებო ცნობაა, რომლითაც ირკვევა, რომ იმ პერიოდში, 1910 წლისათვის, ქუთაისის სასწავლებლებში, კერძოდ კლასიკურ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში არსებობდა ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლი“, თუმცა მას დიდხანს არ უარსებია. როგორც პროფესორი ზ. შერაზადაშვილი აღნიშნავს, ქუთაისში „სოკოლი“ აქტიურად მოქმედებდა 1910 წლიდან 1913-14 წლებამდე. ამის შემდგომ დაიწყო მისი პასიური, ფიქტიური არსებობის ხანა. „სოკოლი“ ქუთაისში, ისე როგორც მთელ საქართველოში, დავიწყებას მიეცა.

1919 წლის 4 ოქტომბერს ქუთაისში სტუმრად ჩამოსულმა თბილისის „შევარდენის“ წევრებმა: და-ძმა რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეების, გ. ეგნატაშვილის, ს. ასლანიშვილის და სხვათა თავკაცობით სასულე ორკესტრის თანხლებით საინტერესო ტანვარჯიშული გამოსვლები მოაწყვეს.

მეორე დღეს, 5 ოქტომბერს, ქუთაისში ოფიციალურად ჩამოყალიბდა ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს კ. სულაქველიძე, მოლარედ — გ. სვანიძე, მოურავად და მდივნად — ს. ასლანიშვილი, ვარჯიშთავად — დ. ჯავრიშვილი, რომელშაც ქალაქში ყველაფერი გააკეთა ახალი სპორტული საზოგადოების შექმნისათვის.

დიდი იყო ქუთათურების ინტერესი და ლტოლვა „შევარდენისადმი“, რომლის წევრთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა. პირველი შევარდნელები ქალთა შორის იყვნენ: ჩიკვაიძე, ფარულავა, ცხადაძე, ალორთელი, შოწონელიძე, მანაგაძე, ბადრიძე, ენუქიძე, ქვანია, გამზარდელი, ბოლქვაძე, მიქელაძე, კიკილაშვილი, მოსეშვილი და სხვანი. ვაჟებ — კოლია ქვარიანი, ვალოდია ნაკარიშვილი, ძმები დავით და კოწია ალიმიებები, მიქელ და ვანო პატარაიები, მიხეილ გორგიძე, ვლადიმერ ბზიანიძე, მიტუშა მიქაბერიძე, ვ. ჯეიშვილი, ნიკო თუმანიშვილი, ა. ზხირია, ლომაკო ხოტივარი და სხვები. ქუთაისში შევარდნელთა რიცხვა სულ მალე 450-ს მიაღწია, ხოლო ერთი წლის შემდეგ სპორტულ საზოგადოებაში მოვარჯიშეთა რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა.

1920 წლის თებერვალში დასაწყისში ქუთაისში შედგა ტურნირი „შევარდენთან“ არსებულ ნომერ-ვარჯიშეთა წრის წევრებისათვის, რასთან დაკავშირებით, თამარ ალიდაძე წერდა: „პირველ დღეს ვარჯიშთავიდან დაწყებული ყველას უყვარდა ეტყობოდა, რაც გამოწვეული იყო მათთვის უცხო საზოგადოების წინაშე პირველი გამოსვლით და მეორე კიდევ იმით, რომ გამოსვლა თბილისის „შევარდენის“ ვარჯიშთავის თანდასწრებით უნდა მომხდარიყო“.

იმავე წელს, 9 მაისს, ქუთაისში დიდი სპორტული ზეიმი ჩატარდა. მაყურებელთა წინაშე კვლავ წარდგნენ „შევარდენის“ წევრები. თბაჭალაქელები უკვე მიეჩვივნენ პირველი სპორტული საზოგადოების წარმომადგენლების საჭარო გამოსვლებს. იმავე დღეს პირველად იხილეს „შევარდენთან“ არსებული ველოსპორტის წრის წევრებიც — სერგო მანაგაძე, არშაკ საყვარელიძე, გრიგოლ ჭომეთიანი, მიხეილ ვაწაძე, ვლადიმერ აბზიანიძე, შალვა თოფურია, ერეკლე ქავთარაძე და სხვები, სულ — 15 კაცი. სპორტსმენები ასრულებდნენ რთულ და საინტერესო ნომრებს — ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა მანძილზე რბოლაში და სხვა.

20-იან წლებში ქუთაისის ცირკში წარმატებით ასპარეზობდა ლეგენდარული ქართველი ფალავანი კოლია ქვარიანი, რომლის დამარცხება მრავალი მოჭიდავის აუხდენელი ოცნება იყო. რაც მთავარია, სახელოვანი თანაქალაქელი იყო ერთ-ერთი პირველი შევარდნელი, რომელიც ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას ეწეოდა თავის ქალაქში, წვრთნიდა ახალგაზრდობას, ავარჯიშებდა ცურვაში, სიმძიმეების აწევასა და ჭიდაობაში.

საინტერესო საფეხბურთო მატჩებს მართავდა ქუთაისის „შევარდენთან“ არსებული გუნდი. 1920 წლის 25 აპრილს ერთ-ერთი ასეთი საქალაქთაშორისო მატჩი ქუთაისელ ფეხბურთელებს ახალსენაკში გაუმართავთ ადგილობრივ საფეხბურთო გუნდთან. ამასთან დაკავშირებით „შევარდენის“ წევრი ნ. დარახველიძე წერდა: „შეჯიბრება დაიწყო სადგურთან ახლოს მიქელაძის მშვენიერ ეზოში, მაგრამ შეჯიბრება ძალიან ცუდად ჩატარდა სხვადასხვა მიზეზების გამო. უპირველესი მიზეზი იყო აუტანელი ქარი, რომელმაც იმ დღეებში სენაკში სახლებიც კი დაანგრია და, რასაკვირველია, ფეხბურთელებს ეს ქარი თამაშის საშუალებას არ აძლევდა, როგორც კი გაკრავდნენ ფეხს ბურთს, უკანასკნელი ქარს გაჰქონდა რამდენიმე, 10 და 20 საჟენით სულ სხვა ეზოში“.

20-იანი წლების ქუთაისში პოპულარობით სარგებლობდა ეროვნული სპორტის სახეობები. ოლასკურას და საღორაოს მიდამოებში ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებები ცხენოსნობაში. უკმე დღეებში ქალაქის გარეუბნებში გამართულ ლელობურთელთა ასპარეზობასაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა. რაც მთავარია, „შევარდენი“ ყველაფერს აკეთებდა ქუთაისში, როგორც კლასიკური, ასევე ეროვნული სპორტის სახეობების ღრმად შესწავლისა და ფართო პროპაგანდის მიზნით.

ხანმოკლე არსებობის მანძილზე „შევარდენმა“ სპორტულ სექციებში მრავლად ჩააბა ახალგაზრდები და, რაც ყურადსაღებია, მას სწორ ფიზიკურ აღზრდასთან ერთად, მთავარ ამოცანად ხალხის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა ჰქონდა დასახული. „შევარდენმა“ ქალაქის სასწავლებლებში შეძლო ფიზიკური კულტურა ჩრდილიდან გამოეყვანა და ახალგაზრდების გაჯანმრთელების სამსახურში ჩაეყენებინა. სასიხარულო იყო ის, რომ ამ კეთილშობილურ საქმეს სათავეში ქართველი მასწავლებლები ედგნენ.

სამწუხაროდ, 1922 წელს საქართველოში „შევარდენი“ ქანონგარეშედ გამოაცხადეს. მის რიგებში აღზრდილთა უმრავლესობა: დ. ჯავრიშვილი, დები მ. და ი. უყფარაძეები, ძმები დ. და კ. ბადრიძეები, ა. ხვინგია, ა. ჯაფარიძე, ი. ჭეიშვილი, ი. კიზირია, კ. მეფარიშვილი, ლ. ზოტივარი და მრავალი სხვა ერის სამსახურში ჩადგა და ათეული წლების მანძილზე ნამუსიანად ემსახურა მშობლიურ ქვეყანას.

ზურაბ ჯავახაძე,
ქუთაისი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ X ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ • ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

თბილისელები — უკონკურენტოდ

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც გამოვლინდა საქართველოს ჩემპიონი კალათბურთში. ახლახან კი თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლემ უმასპინძლა საქართველოს X სპარტაკიადას, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის 8 გუნდმა იასპარეზა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ პირველი ადგილის ბედი, ფაქტობრივად, წინასწარვე იყო გადაწყვეტილი, რადგან თბილისის ნაკრები ძირითადად დაკომპლექტდა დინამოელი კალათბურთელებით. მოგეხსენებათ, დღეს, სამწუხაროდ, საქართველოში არ მოიძებნება გუნდი, რომელიც შეძლებდა თბილისის „დინამოსათვის“ კონკურენციის გაწევას. ასე რომ, ბრძოლები, ფაქტიურად, მეორე-მესამე ადგილებისათვისღა მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მაყურებელი დაძაბული ორთაბრძოლების მოწმე გახდა. კარგად, ლამაზად ითამაშეს ქუთაისის, რუსთავის, აფხაზეთის გუნდებმა, საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაც ძირითადად მათ შორის მიმდინარეობდა.

ფინალური ოთხეულის პირველი შეხვედრა ქუთაისისა და რუსთავის გუნდებს შორის გაიმართა. პირველ ნახევარში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება და ტაიმი ფრედ — 45:45 დამთავრდა. შესვენების შემდეგ ქუთაისელები უფრო ზუსტად აკმქმედდნენ და შეხვედრაც მათ მოიგეს — 95:89. ამავე დღეს თბილისელები აფხაზეთის გუნდს შეხვდნენ. მოყოლოდნელობა არ მომხდარა — 123:55 (58:31) გაიმარჯვა თბილისის გუნდმა. მეორე დღეს აფხაზეთისა და რუსთავის გუნდებს შორის უნდა გარკვეულიყო მესამე ადგილის მფლობელის ვინაობა, რადგან ორივე გუნდმა წინა შეხვედრები წააგო. თითქმის თანაბარი ბრძოლის შემდეგ, შესვენებაზე რუსთაველები სამი ქულის უპირატესობით გავიდნენ — 44:41. მეორე ტაიმი მათ გაცილებით უკეთ ჩაატარეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს 95:72.

თბილისელთა და ქუთაისელთა შეხვედრა ტურნირის ცენტრალური თამაში გახლდათ. განსაკუთრებით დრამატულად ამ მატჩის მეორე ნახევარი წარიმართა. მეორე ტაიმის მე-10 წუთისთვის ქუთაისელებმა ზუსტი სამქულიანი სროლების წყალობით შეძლეს სხვაობის მინიმუმამდე შემცირება — 54:55, ხუთი წუთის შემდეგ კი წინ გავიდნენ — 67:66. ამის შემდეგ მთელი ძალით ამოქმედდა თბილისელთა გუნდი. თითქმის ოთხი წუთის მანძილზე ქუთაისელებს არ მისცემიათ საშუალება ბურთის კალათში ჩაგდებისა და მატჩის ბედიც თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყდა. საბოლოოდ, 92:79 გაიმარჯვეს თბილისელებმა და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

სურათზე: საქართველოს X სპარტაკიადის ჩემპიონი — თბილისელ კალათბურთელთა გუნდი.

გია ახალაძის ფოტო.

თავგადასავლებით კვარცხლბეკზე

სპორტში, და ალბათ, ცხოვრებაშიც, გამარჯვება მით უფრო დასაფასებელია, რაც მეტი წინაღობის ათასგვარი ხელოვნური თუ ბუნებრივი ბარიერის დაძლევის ფასად არის მოპოვებული. ასეთი გამარჯვება ხომ უფრო საამაყოა და დასაფასებელი.

ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ბატუტისტები: რუსუდან ბოფერია, ანა დოღონაძე და ზაზა აბრამაშვილი საბჭოთა კავშირის ბატუტისტთა ნაკრების ხელმძღვანელობა მრავალ შეჯიბრებაზე გამოიძახეს — გერმანიის ქალაქ შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ, თუმცა, ამ ტურნირში მხოლოდ მასპინძელთა და საბჭოთა კავშირის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. საქართველოს წარმომადგენლები — სპორტსმენები და მწვრთნელები — გიორგი მოსკოვს, რათა იქიდან სხვებთან ერთად სწვეოდნენ გერმანიას. თბილისიდან დილის 7 საათზე გასულები რომ 23 საათზე ჩაფრინდნენ მოსკოვში და „გზად“ ლენინგრადის აეროპორტში 4 საათის განმავლობაში საჰაერო ხომალდიდან გადმოსვლის უფლება არ მისცეს მგზავრებს, ეს ცოდვა უმთავრესად საკავშირო აეროფლოტის მესვეურთა კისერზეა. 16-საათიანი მგზავრობის შემდეგ, სპორტსმენებმა, ბოლოს და ბოლოს, ჩაიღწიეს მოსკოვს, მაგრამ ამჯერად ქალაქში არ აღმოჩნდა სასტუმრო, სადაც მათ მოათავსებდნენ. როგორც იქნა გამოუძებნეს „თავშესაფარი“ — მოსკოვიდან მანქანით საათნახევრის სავალზე დააბინავეს ჩვენი გოგონებიები. მიხვდებით, არც მისი მოპოვება იქნებოდა მათთვის ოლი, უმთავრესი კი ის არის, რომ ამ გაწამაწიამ უარყოფითად იმოქმედა ქართველ ბატუტისტებზე და შტუტგარტში სამივე მათგანი ხელმეტად გადაღლილი, მოსკოვური ყინვის „წყალობით“ სიცხიანი ჩავიდა.

ტურნირის მასპინძელ ქალაქში მართლაც უშეღავათო ბრძოლები გაიმართა გერმანელ და საბჭოთა ბატუტისტთა შორის. ჩვენდა სასიხარულოდ, გუნდის ლიდერმა რუსუდან ბოფერიამ არც ამჯერად გაამწარა თავისი გულშემატკივრები — ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ინდივიდუალურ ხტომებში და თავის ძირითად მეტოქეებს: გერმანელ სანდრა შვინხასა და უკრაინელ ლადა ციბრენკოს გამარჯვების ყველა შანსი გადაუწურა. თბილისელი ანა დოღონაძე მეოთხე ადგილზე გავიდა. ზაზა აბრამაშვილი, ასევე ინდივიდუალურ ხტომებში, მხოლოდ მეცხრე იყო. ამ ტურნირზე საერთოდ არ უასპარეზიათ სინქრონულ წყვილებს. გარდა ამისა, სამივეს გადაეცა ოქროს მედლები, რადგან საკავშირო ნაკრები პირველ ადგილზე გავიდა. ჩვენი „სამეულის“ წარმატება უფრო დასაფასებელი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მოსკოვში მათ, ფაქტიურად, არ მისცემიათ ვარჯიშის საშუალება, ბატუტზე ხტომაში კი ერთი დღის უვარჯიშებლობაც შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. არც მათი ჯანმრთელობა იყო საერთაშორისო ტურნირის მონაწილეთათვის შესაფერისი და, ბოლოს, შტუტგარტის ბატუტისტთა დარბაზში დამონტაჟებული ბატუტის ბადეები, შათთვის უჩვეულო და არატრადიციული იყო.

ერთი სიტყვით, „მოსკოვური თავგადასავლები“ „შტუტგარტული გამარჯვებით“ დავგვირგვინდა. ბუნებრივია, ჯობს, გამარჯვებები ხელმეტი, მით უმეტეს, უსარგებლო, თავგადასავლის გარეშე მოვიპოვოთ, მაგრამ...

ლევან ჯავახიშვილი

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

„მეჭს ველოდით!“

დეკემბრის შუა რიცხვებში თბილისი უმასპინძლებს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საქართველოს თასის გათამაშებას მრავალჭიდში და რესპუბლიკის ჩემპიონატს — ჯგუფურ ვარჯიშში. ამას წინათ ჩვენს გოგოებს ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის მზადების, საკუთარ ძალთა შემოწმებისა და ოსტატობის გამოჭენების კარგი შესაძლებლობა მიეცათ. ისინი ოთხი დღის განმავლობაში არმიის სპორტული კლუბის დარბაზში რესპუბლიკურ ტურნირზე ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას მრავალჭიდსა და ცალკეული საგნებით ვარჯიშში.

ოსტატობის კანდიდატების პროგრამით 24-მა მონაწილემ ითასპარეზა. 12 სპორტსმენი უკონკურსოდ გამოდიოდა. მრავალჭიდში პირველობისათვის თავიდანვე თბილისელი ქრისტინა ადამოვა (მწვრთნელი ბელა სისაური) და ბათუმელი ალიონა ივანოვა (მწვრთნელი ირა ლორთქიფანიძე) დაწინაურდნენ, რომლებმაც საბოლოოდ 45-45 ქულით I-II ადგილები გაიყვეს.

ცალკეული საგნებით ვარჯიშშიც სწორედ მათ ისახელეს თავი: ქრისტინამ ხუთ სახეობაში ითამაჯა, ჭედან — სახტუნელათი, რგოლითა და ბაფთით ვარჯიშში პირველი ადგილები ალიონასთან ერთად გაინაწილა. მრავალჭიდში შესაშე ადგილზე ნელი სალაძის მოწაფეები: მაია ცერცვაძე და ეკა აბრამია გავიდნენ.

ახალგაზრდა მწვრთნელების — ბელა სისაურისა და ირა ლორთქიფანიძის აღსაზრდელებმა ამას წინათ პერმში „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობაზეც ისახელეს თავი. ოსტატობის კანდიდატებს შორის ადამოვამ მრავალჭიდში პირველი ადგილი დაიკავა, ივანოვამ კი — მეორე. ცალკეული საგნებით ვარჯიშში დაწესებული ოქროს მედლებიც მათ დაიმსახურეს. პერმიდან მრავალჭიდში მოპოვებული ვერცხლისა და ოთხი მცირე ოქროს მედლით დაბრუნდა რუსთაველი ნინო წიკლაური (მწვრთნელი ლუდმილა სოფრომაძე), რომელიც ოსტატთა პროგრამით ასპარეზობდა. ნინომ თბილისში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირში ვერ მიიღო მონაწილეობა, რადგან იგი საკავშირო ნაკრების შეკრებაზეა და ჯგუფურ ვარჯიშში ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის პირველობისთვის ემზადება.

ოსტატების პროგრამით თბილისის ტურნირში ასევე არ გამოსულან ელისო ბედოშვილი (იგი შვეიცარიაში იმყოფებოდა საერთაშორისო ტურნირზე), თინათინ ნადირაშვილი, ნატო ლუკაშელი, ანგა ჩხაიძე. ლიდერების არყოფნამ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისაკენ ერთბაშად რამდენიმე ახალგაზრდა სპორტსმენს გაუხსნა გზა (სულ 18 ტანმოვარჯიშე ასპარეზობდა). უმაღლესი ქულა აქაც ორმა მონაწილემ — თბილისელმა ნატო ტატიშვილმა (მწვრთნელი ლალი დოლაძე) და ქ. თბილისელმა ოლგა ულერშპერგერმა (მწვრთნელი ლუდმილა სოფრომაძე) გაიყო. მესამე ადგილზე რუსთაველი ელადა კოზმოპულოსი (მწვრთნელი ლ. სოფრომაძე) გავიდა.

ცალკეული საგნებით ვარჯიშში უძლიერესნი იყვნენ: სახტუნელათი — ტატიშვილი, რგოლითა და ბურთით — ულერშპერგერი, გუთხებითა და ბაფთით ვარჯიშში ყველას ბელა ქილაიევამ აჯობა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ტურნირის მთავარ მსაჯს, მსოფლიოს 1979 წლის ჩემპიონს **ირინე გაბაშვილს:**

— ლიდერების არყოფნამ, ცხადია, დაღი დაასვა ტურნირს, თუმცა არც ტატიშვილი, ულერშპერგერი, ქილაიევა, კოზმოპულოსი და სიდანოვა არიან „ხელწამოსაკრავნი“. მათ უკვე საკმაო გამოცდილება აქვთ. სამწუხაროდ, გოგოებმა ამჯერად ბევრი ვერაფრით გაგვახარეს, მათგან უფრო მეტს ველოდით. სამაგიეროდ, ერთგვარი იმედის ნაპერწკალი ჩაგვისახეს ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა. საგრძნობლად აიმაღლეს ოსტატობა ადამოვამ, ცერცვაძემ, ივანოვამ, აბრამიამ, ღარიბოვამ, პეკჭინამ და სხვებმა. — ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს ღირსეული ცვლა ეზრდება.

ვაჟა დანელია.

„ჩემში ფეხბურთელმა მაშინ გაიღვიძა...“

ფეხბურთელთა მხოფლიო ჩემპიონატების მონაწილეთაგან სლავა მეტრეველი სავანგებოდ „შემოვიწვიეთ“ ბოლოსათვის. ერთი იმიტომ, რომ მისი შეგობრებისა და „თანამებრძოლების“ უმრავლესობის აზრით, სლავა ერთობ დაჩაგრეს სხვებთან კავშირის გაწყვეტაში, არ მისცეს საშუალება ბოლომდე გამოემეღავნებინა თავისი ძალა და უნარი — მას არ ათამაშებდნენ იმ მატჩებში, რომლებშიც იმსახურებდა გამოხვლას — ეს ფაქტი კი შეტად დამაინტრიგებელია ჟურნალისტისთვის. მეორეც, კარს მოგვადგა ფეხბურთში სლავა მეტრეველის ტურნირი და ამდენად, გულშემატკივართათვის საინტერესოა კიდევ ერთხელ გადახედოს განუმეორებელი ქართველი მარჯვენა გარემარბის მიერ განვლილ საფეხბურთო გზას.

სლავა მეტრეველს, მიუხედავად იმისა, თუ რა არის მისი ძირითადი საქმიანობა დღეს, ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია და ქართველ ვეტერანთა შატჩებზე მისულ გულშემატკივარსაც, ალბათ, ზშირად ახსენდება ის არც თუ შორეული წლები, „დინამოს“ ფლანგებზე ორი უძლიერესი გარემარბი რომ თამაშობდა — სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი.

● ბატონო სლავა, ქართველ გულშემატკივართა კამათის მიზეზი ხშირად იყავით თქვენ და მაშა მესხი. ვერაფრით არკვევდნენ — „ლომი სჯობდა ვეფხვს თუ ვეფხვი — ლომს“. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— მაშას ფინტი ერთ რამედ ღირდა. თან უფრო შედეგიანიც იყო, გოლის გატანის ჟინით შეპყრობილი. მე კი ჩემს თამაშს უფრო პასზე ვაგებდი და ამიტომ გოლის „თანაავტორი“ უფრო ხშირად ვიყავი, ვიდრე „ავტორი“. ისე კი, ძალიან მიჭირს საკუთარ თავზე საუბარი.

● თქვენი სათამაშო სტილი პირწმინდად ქართული იყო. არადა, სოჭის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ხართ და თქვენი დებიუტიც რუხეთის გუნდებში შედგა. როგორ ახსნით ამას — ქართულმა გენმა იფეთქა თქვენში თუ იყო სხვა მიზეზიც?

— ჩემთან ერთად სოჭში ბევრი ქართველი თამაშობდა, მწვრთნელი კი ბერძენი გვყავდა — გავრილიადი. მაგრამ, მე ვფიქრობ, არა აქვს მნიშვნელობა, როგორ გარემოში იწყებ თამაშს. ფეხბურთელად უნდა დაიბადო, მწვრთნელი შემდეგ დაგაკვალიანებს. მე მაინც მგონია, ჩემში ფეხბურთელმა მაშინ გაიღვიძა, ხუთი წლისა უწერაში რაღაც ბიჭებთან ერთად კალოზე ბურთს რომ ვაგორებდი.

● უკვე დაკაცებულმა და ფეხბურთელად ჩამოყალიბებულმა კი რუხეთის გუნდებში ამოყავით თავი. რატომ? ქართველი ხელმძღვანელები არ ეკარებოდნენ სოჭს?

— როგორ არა. პირველად თბილისის „ტოდო“-ში მიმიწვიეს. ამ გუნდში ექიმად ალიკო ჩიჩუა მუშაობდა და სწორედ მას უნახავს სოჭში ჩემი თამაში. მაგრამ თბილისში ჩამოსული აღარ გამსინჯეს. ამ დროს გორკის გუნდს ნესტორ მამულაშვილი წვრთნიდა. სწორედ მან ურჩია მამაჩემს, ჩემთან წავიყვანე, დაოსტატების საშუალება ექნებაო. შემდეგ გორკში ჩემი თამაში ბესკოვს ენახა, მოეწონებინა და „ტორპედოში“ მიმიწვია.

● უკვე აღიარებული ფეხბურთელის — სლავა მეტრეველის თბილისში გადმოყვანაზე კი დიდი აგიოტაჟი შეიქმნა. ახახელებდნენ დიდძალ თანხას, რომელიც თქვენ მოითხოვეთ, ყველას პირზე ეკერა მეცენატები, ვინც დაგაფინანსებდა. რამდენად შეესაბამებოდა ჯორები ხინამძვილეს?

— სინამდვილეში, შავგულიძემ და იამანიძემ მთხოვეს და ჩამოვედი. ეს იყო და ეს. ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნება სწორედ „დინამოში“ თამაში იყო. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ერთხელ მოსკოვში მიშა მესხი ჩამოვიდა და მითხრა: „სლავა, თუ ვიწმეს არ უნდა უნდოდეს შენი თბილისში ჩამოსვლა, პირველი მე უნდა ვიყო, რადგან დღეს გუნდში მე ვპირველობ და შენი ჩამოსვლის შემდეგ რა იქნება, ღმერთმა იცის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გირჩევ ჩამოხვიდე — ფეხბურთთან გაწყვრების შემდეგ საქართველოში ამაგს დაგიფასებენ და კაცად დარჩები. აქ კი უცხოტომელთა შორის შეიძლება დაიკარგო“. ამ შეხვედრას მიხეილ ლაზიშვილიც ესწრებოდა. ასეთი ნაღდი, ვაჟკაცური სიტყვის შემდეგ მე არ შემეძლო უარი მეთქვა.

— მაგრამ ვიდრე მე არ დავთანხმდი, სლავა თბილისში ვერ წამოვიდა — საუბარში ჩაერია მისი მეუღლე, ქალბატონი ტატიანა, საოცრად ცოცხალი და ენერგიული ქალი. — რა თქმა უნდა, მოვითხოვეთ საბინაო პირობების მოგვარება და სწორედ ამაში დაგვეხმარნენ ფეხბურთის ფანატიკოსი გულშემატკივრები — ძმები ლაზიშვილები და ირაკლი ნემსაძე.

● თქვენი „ტორპედოდან“ გადმოხვლა ინგლისის მხოფლიო ჩემპიონატის წინა პერიოდს დაემთხვა. ეს ხომ არ იყო მიზეზი, რომ ამ მხოფლიო ჩემპიონატში აღარ გათამაშეს, არადა, იმ დროს თქვენი დონის მარჯვენა გარემარბი ხანთლით ხაძებარი იყო...

— არც უამისობა იყო. ყოველთვის მარწმუნებდნენ, რომ ფორმაში არ ვიყავი, არადა, კაცი ისე ვერ ითამაშებს, თუ საკუთარი თავის არ გჯერა. მე ხომ ვიცოდი, რომ შემეძლო ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა. ერთხელ მოსკოვში იტალიელებს ვხვდებოდით. ნაკრებს სათავეში ბესკოვი ედგა, 2:0 მოვიგეთ. საპასუხო მატჩში იტალიაში აღარ გამოშიყვანეს, თითქოს პირველ შეხვედრაში ფაკეტის „ფეხი ვერ ავუწყვე“.

● ხაინტერესოა, ნაკრების დაკომპლექტების ხაქმეში თუ ერეოდნენ ფუნქციონერები?

— ეს თვისება გრანატკინს ახასიათებდა. ხშირად პარკუაიას ათამაშებდნენ ჩემს მაგივრად და ეს მითითება სწორედ მისგან მოდიოდა.

● ნაკრებთან თითქოს ტკივილი და წყენა უფრო მეტად გაკავშირებთ, ვიდრე სახიამოვნო მოგონება. მაგრამ მაინც ამას გთხოვთ: ხომ ვერ გაიხსენებდით ერთ სახიამოვნო ეპიზოდს?

— 1960 წლის ევროპის ჩემპიონატი პარიზში. მაშინ ფინალურ მატჩში გადამწყვეტი გოლი გავიტანე. იმ დროს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავდა და ლოგიკური იყო ჩვენი ევროპის ჩემპიონობაც. მერე იყო და იმ ერთეულ ფეხბურთელთა შორის მეც მხვდა წილად ბედნიერება მსოფლიოს ნაკრებში მეთამაშა ბეკენბაუერის, რნირის ჩემპიონობას მოიპოვებს. იგი იმდენ თანხას იღებს, ხაკმაო ხანს მატერიალურად უზრუნველყოფილია. თქვენ?

— ჩვენ 500-500 მანეთით „დაგეჯილდოვეს“. ეგ იყო და ეგ. ერთი იტალიური ტურნე მინდა გავიხსენო. ექვსი შეხვედრა გავმართეთ და ერთ-ერთი მატჩის შემოსავალი მსოფლიო წითელი ჯვრის ანგარიშზე გადავრიცხეთ. ტურნირის სპონსორებმა მადლობის ნიშნად 25-25 დოლარი დაგვირიგეს მცირედი სუვენირებისათვის, მოსკოვში კი განსაზღვრული თანხიდან 150-150 მანეთი დაგვიქვითეს იმ 25 დოლარის სანაცვლოდ.

● კვლავ „დინამოს“ მინდა დაბრუნდეთ, 60-იანი წლების მიწურულს, გუნდმა მოხკოვში „ტორპედო“ დაამარცხა. ეს იყო ერთერთი ულამაზესი თამაში ორივე გუნდის ისტორიაში. პირველი გოლი ჭელიძემ გაიტანა 40 მეტრიდან, მეორე — თქვენ. მოსკოველთა მხრიდან სტრელცოვმა მოახერხა ჩვენი კარის ღია თერთმეტმეტრიანი დარტყმით. ჩვეულებისამებრ, „დინამოდან“ წახული კაცი მის წინააღმდეგ ძალიან თამაშობს ხოლმე: „ტორპედოში“, როგორც ჩანს, არ იყო ამისი ტრადიცია და ამიტომ არ გაგძნელებიათ გოლის გატანა ძველი გუნდის კარში.

— „ტორპედოში“ თამაშისას მწვრთნელი მასლოვი იყო და მას ვთხოვდი ბოლმე თბილისელების წინააღმდეგ არ ვეთამაშებინე. „ტორპედოსთან“ კი უკვე აღარ მიჭირდა გამოსვლა, რადგან იმ ძველი თამაიდან, ვისთან ერთადაც ვთამაშობდი, ერთეულებიღა შემორჩენოდნენ გუნდს.

● ფეხბურთიდან წახულმა თქვენი მაიხური ვლადიმერ გუცაევს გადაულოცეთ. გაამართლა მან თქვენი იმედები?

— იმდენად ვერა, რადგან ცოტა ზარმაცი იყო. ტალანტი კი უდავოდ ჰქონდა. პელე რომ პელე იყო, ის ვარჯიშობდა დღეში 4-5 საათს.

● ახლა რომ ანებებდეთ თამაშს თავს, ვის მიიწვევდით ძველთა კლუბის გამგრძელებლად?

— პირველად რეკებია რომ გამოჩნდა, ნამდვილად მომწონა, ეგაა შემდეგ ყოყოჩობა დაიტყო, ეს კი ფეხბურთს არ უხდება. მიშაკო ჯოშკარიანიც საიმედოდ თამაშობს, თუმცა, ფიზიკურად სუსტია.

● რადგან ახალ თაობაზე ჩამოვაგდეთ ხიტყვა, რა განსხვავებას ხედავთ თქვენი დროისა და ახლანდელ ფეხბურთს შორის?

— ფიზიკური დატვირთვები კი გაიზარდა, მაგრამ ჭკუას ნაკლებად ატანენ თამაშს.. ჩვენს დროს კომბინაციაზე, ფინტზე, ტექნიკასა და იმპროვიზაციაზე იყო აგებული თამაში. ახლა ვის რა ფუნქცია აკისრია, იმასაც ვერ გაიგებ. ბურთს დასდევენ წინ და უკან. ჩვენ ვიცოდით, სად იყო ჩვენი სამოქმედო ადგილი, ფუნქცია და ვასრულებდით კიდეც.

● ფეხბურთიდან ადრე წახულ კაცად ითვლებით. უკმარისობის გრძნობა ხომ არ გაგაჩნიათ?

— ვგრძნობდი, თამაში კიდევ შემეძლო, მაგრამ კაჩალინმა მითხრა, დროა, წადიო. მწვრთნელებს არ უყვართ „მოხუცები“. პრიორიტეტს ახალგაზრდებს ანიჭებენ. ამიტომ უკმარისობის გრძნობა ნამდვილად მაქვს.

● სულ მალე მაყურებელი კვლავ იხილავს სლავა მეტრეველის თამაშს მისი ხახელობის ტურნირზე, კიდევ ერთხელ მოგიწევთ თქვენს ძველ თანამებრძოლებთან შეხვედრა. როგორ ემზადება ვეტერანი ამისათვის?

— სამწუხაროდ, ძველი „ტორპედოდან“ ბევრი უდროოდ წავიდა და, ამდენად, შეიძლება ჩემი ყოფილი მოსკოველი თანაკლუბელები ვერც შეიკრიბონ. მოწვეულთა შორის უცხოელებიც არიან. ამისათვის კახი ასათიანი უნარიანად გაისარჯა. ცალკე მინდა დავპატიჟო ჩემი მოსკოველი მეგობრები: ვიცინი, ნიკულინი, მარგუნოვი, კოლ. ვფიქრობ, ისინი მეტ ეშხს შემატებენ ტურნირს. მართალი რომ გითხრათ, ამ ღონისძიებისათვის მე ისე არ ვემზადები, როგორც ჩემი სტუმრები. დღე არ გავა, რომ არ დამირეკონ და არ შემახსენონ თავი. ისე კი, მიხარია, ძველი სპორტსმენების გახსენებას, ამ კარგ ტრადიციას რომ ჩაეყარა საფუძველი.

...ახლაღა ვხედავთ სპორტსმენებს საკადრის ფასსა და პატივს, თორემ რა დღეში იყვნენ ადრე, ეს სლავა მეტრეველთან საუბრისდანაც კარგად ჩანს. 1989 წლის „არგუმენტი ი ფაქტის“ მეთორმეტე ნომერში გვეცანით ბრძანების დამსახურებულ სპორტსმენთათვის პენსიის დანიშვნის შესახებ და იგი ეკუთვნის მათ, ვინც ნაკრების ღირსებას იცავდა ექვსი წლის მანძილზე. ქართველები, როგორც ხშირად ხდება, მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებით, აქაც ბედოვლათები აღმოჩნდით და ყურადღება არც მიგვექცევია ამისთვის, არადა, ქართველ ფეხბურთელთა, და საერთოდ, სპორტსმენთა უმეტესობას ეკუთვნის იგი. ეს საბუთები ქალბატონმა ტატიანამ შეაგროვა და ახლა „ობრძის“ ქმრისთვის პენსიის დანიშვნისათვის. იმედია, ყრუ კედლის წინაშე არ აღმოჩნდება. დრო ხომ შეიცვალა და თან, ჩვენ ხომ მართლაც გვაინტერესებს „საით მიდიან ჩემპიონები?“

ესაუბრა **ინგა ჩახვაშვილი**

სარბენზე სლავა მეტრეველის... პრიზი

(დასასრული)

— გულშემატკივრები ამ მხრივ არც ახლა დარჩებიან გულნაღულნი: ტურნირის ბოლო დღეს სპორტის სასახლის სარბიელზე სასპარეზოდ კვლავ გამოვა 1964 წლის ჩემპიონის — თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა. „ოქროს ბიჭებს“ ცხოვრებიდან უდროოდ წასული შესანიშნავი კაპიტნის შთა იამანიძის ნაცვლად გამოუძღვება ზეიმის მთავარი მიზეზი სლავა მეტრეველი. ვინ იქნება ჩვენი გუნდის მოწინააღმდეგე? — ევროპის 1960 წლის პირველი ჩემპიონი ქვეყნის ნაკრები, რომელშიც იმხანად თამაშობდნენ მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი. ზაურ ქალოევი, თავად სლავა მეტრეველი (იგი მაშინ, გახსოვთ, მოსკოვის „ტორპედოს“ მოთამაშე იყო). საინტერესო იქნება, ჩემი აზრით, ტრადიციული შეხვედრა გულშემატკივრებისა და მსახიობების გუნდებს შორის. როგორც იცით, მარშან მათ ვერ გამოავლინეს უძლიერესი — მატჩი ფრედ 3:3 დამთავრდა. ვნახოთ ამჯერად...

● როგორც მარშან, მესხის ტურნირის დღეებში, თქვენს ოთახში ახლაც მრავალ თახს ვხედავ და კვლავ, სახიხარულოდ, საკმაოდ არახტანდარტულებს, არაორდინარულებს...

— ალბათ იმიტომ, რომ მათი ავტორი ისევ ის, მე ვიტყოდი, საკმაოდ მაღალგემოვნებიანი ფირმაა — კოპერატივი „ოპიზარი“, რომელსაც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვაჟა გაგოშიძე ხელმძღვანელობს. აი ეს ორიგინალური პრიზი კი, ბროლის ლურჯი და წითელი ბურთები რომ ამშვენებს თავზე, მხატვარ შოთა ციცქიშვილის ნახელავია. თუ ვინ იქნება მათი მფლობელი, ამას ტურნირის დახურვის დღეს შევიტყობთ. ისე კი, ორგანიზატორებს გვსურს რვავე გუნდს გადაეცეს სამახსოვრო ჯილდო. ამ თითქმის ერთმეტრიან თასს გამარჯვებული გუნდი მიიღებს. გვაქვს აგრეთვე მიხეილ მესხის სახელობითი პრიზი. ტრადიციულად, ჩვენს ტურნირზე დაწესებულია სპეციალური პრიზები — საუკეთესო შეკარეს, საუკეთესო მცველს, საუკეთესო თავდამსხმელს, საუკეთესო მოთამაშეს, უველაზე ტექნიკურ მოთამაშეს, საუკეთესო ბომბარდირს, საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელს, უველაზე ხანდაზმულ მოთამაშეს, საუკეთესო მსაჯს, უველაზე სიმპათიურ ფეხბურთელს და ასე შემდეგ. არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ორი ჯილდო — საჩუქარი, რომელიც ბელგიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ბიჭიკო მიხელაშვილმა გადმოგვცა. ესაა ცნობილი შვეიცარიული ფირმა „კარტიერის“ მაჯის საათები: „ავტორი“ ერთს სლავა მეტრეველს უსახსოვრებს, მეორეს კი სხვა პრიზებში „გავათამაშებთ“.

● ხახსენებაზე: როგორც შევიტყვეთ, ტურნირზე ლატარიის გათამაშებას ამირებთ?

— სრული ჰეშმარიტებაა: ხუთი მსუბუქი ავტომანქანა თამაშდება. აქედან ერთია „ვოლგა“ (გაზ—24) და ოთხი „უაზ“-ი (469). მათი მფლობელნი გახდებიან „ბედნიერი“ აბონემენტები ვისაც აღმოაჩნდებათ. აბონემენტი 6 ათას 350 ცალი დაიბეჭდა. თითოეულის ღირებულებაა 32 მანეთი, რაც მთლიან ტურნირზე დასწრების საშუალებას იძლევა. ცხადია, აბონემენტების ნაწარმი ერთიანი 5-მანეთიანი ბილეთებიც გაიყიდება. იმასაც გეტყვით, რომ 500-ზე მეტი საბავშვო ბილეთი (მათი ფასია 1 მანეთი) თბილისის საფეხბურთო სკოლებს გამოვუყოთ მოსწავლეთა დასასწრებად.

● ალბათ, ტურნირის ორგანიზატორები გულშემატკივრებს ამჯერადაც სავანგებო სუვენირებით გაახარებთ?

— ტურნირის დღეებში სასახლეში გაიყიდება გემოვნებით შესრულებული სამახსოვრო მედლები, ბრელოკები, ვიმპელები, ეგრეთ წოდებული სასუვენირო დასაწებლები—„ნაკლეიკა“. ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკაში (დირექტორი რამაზ ცხვარაძე) გამოშვებული 16-გვერდიანი მრავალფეროვანი პროგრამა...

* * *

საუბრის დროს ოთახში წამდაუწუმ შემოდიოდნენ ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელები—ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, გივი ნოდია და სხვანი—ყველა რაღაც დავალებას ასრულებდა. ყველას უნდოდა რაიმე წვლილი შეეტანა მოახლოებულ დიდ საფეხბურთო ზეიმში, რომელსაც, ეჭვგარეშეა, საქართველოში დასასრული არ ექნება.

ესაუბრა **ოთარ ნოზაძე**

მეთქვსმეტე სვეტი

● **დეკემბრის** რევოლუციის შემდეგ რუმინეთის ოლიმპიური მოძრაობა, როგორც იქნა, განთავისუფლდა ხელისუფლების დიქტატისაგან და თავისი ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლები თვითონვე აირჩია. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტი ჩაიბარა 1968 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში ლია მანოლიუმ. პრეს-კონფერენციაზე მან უარყო მტკიცება იმის შესახებ, რომ პირველი ქალია ევროპაში, რომელიც ოლიმპიურ მოძრაობას ხელმძღვანელობს და დაასახელა ორი პრინცესა — ანა და ნორა, რომლებიც, შესაბამისად, ინგლისისა და ლიხტენშტეინის ოლიმპიურ კომიტეტებს მეთაურობენ, მანოლიუ თავისუფლად ფლობს ოთხ უცხო ენას — ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულსა და რუსულს.

● **ამერიკის** შეერთებული შტატების სამთომოთხილამურეთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ჯორჯ კაპოლი თანამდებობიდან გადადგა. ქვეყნის მოთხილამურეთა ფედერაციის განცხადებით, ამერიკელები წარმოდგენილნი იქნებიან სლალომისტთა ბოლო შეჯიბრებებში და ამის გამო, მწვრთნელის გადადგომა კანონიერი ნაბიჯი იყო.

● **გაზეთ** „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ განცხადებით, დრეზდენის „დინამოს“ ფეხბურთელებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ შინაგან საქმეთა სამინისტროდან რამდენიმე მილიონი მარკა მიიღეს. სამინისტროს ექს-ხელმძღვანელმა პეტერ-მიჰაელ დისტალმა ამით ბოლომდე მიიყვანა ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იყო გერმანიის გაერთიანებამდე დიდი ხნით ადრე და რომლის ვადა ამა წლის 31 დეკემბერს იწურებოდა.

● **თანამედროვე** ჩოგბურთის ერთ-ერთ აღიარებულ ვარსკვლავს, გერმანელ ბორის ბეკერს მიაჩნია, რომ მომავალში მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი უნდა გახდეს ან ანდრე აგასი, ან პიტ სამპრასი (ორივე — აშშ) ან კიდევ იუგოსლავიელი გორან ივანიშევიჩი. შეკითხვაზე, თუ რას გააკეთებს იგი სპორტიდან წასვლის შემდეგ, ბეკერმა უპასუხა: ალბათ, ჟურნალისტობას დავიწყებ, მაგრამ მანამდე ერთ წელიწადს ტაშსის მძღოლად ვიმუშავებ ნიუ-იორკში.

● **შარშან** ნიუ-იორკის მარათონის დროს მიღებულ მძიმე ტრავმას მწყრად განიცდიდა ცნობილი ნორვეგიელი სტაიერი გრეტე ვაიტცი. მას არაფრით არ სურდა სპორტიდან წასვლა. ახლა, როგორც ჩანს, მარათონელის ფიზიკური მდგომარეობა გამოკეთდა. ყოველ შემთხვევაში, ექიმების აქტიურობით მან მოირჩინა ნატკენი ფეხი და მორიგ მარათონში აპირებს გამოსვლას. ჟურნალისტები აღტაცებულნი არიან ნორვეგიელი სტაიერის მტკიცე ხასიათით და მას „შეუდრეკელი გრეტე“ შეარქვეს.

● **ევროპის** ჩემპიონს წინაღობებით რბენაში, იტალიელ ფრანჩესკო პანეტას საკმაოდ ახირებული ხასიათი აქვს. მას არ მოსწონს თავისი სახელობა და ბარსელონის ოლიმპიადაზე ძალების მოსინჯვას მარათონულ რბენაში აპირებს. გაისად, გაზაფხულზე, იგი პირველად გამოვა დისტანციაზე, მაგრამ თუ აქ ვერაფერი გააკეთა და „ჩაფლავდა“, მაშინ 10 ათას მეტრზე რბენას დაიწყებს.

● **პრანგმა** სპრინტერმა, ევროპის 1990 წლის ჩემპიონმა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში დანიელ სანგუმამ პირწმინდად წაგო ორი გარბენი... ცხენთან, რომელიც თავის მხედართან ერთად ოლიმპიური ჩემპიონის სახელს ატარებს. როგორც ცნობილია, ადამიანის ოთხფეხა მეგობარი თავის დროზე დამარცხებული ჰყავს წარსულში სახელგანთქმულ ამერიკელ სპრინტერს ჯესი ოუენსს.

მსოფლიო საჰადრაკო ოლიმპიადაზე

ერთი პარტია დასამთავრებელია

ნოემბერი ხადი. საჰადრაკო ოლიმპიადაზე 10 ტურის შემდეგ ლიდერობას საბჭოთა კავშირის ქალთა გუნდი ინარჩუნებს: მას 24,5 ქულა აქვს და ერთი გადადებული პარტია.

ამ დღეს საბჭოთა ნაკრების მეტოქე იყო იუგოსლავიის პირველი გუნდი. ჯერჯერობით საბჭოთა მოჰადრაკეები წინ არიან — 1,5:0,5. მაია ჩიბურდანიძემ დაამარცხა მეტოქე, ნონა გაფრინდაშვილმა კი შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ალისა გალიამოვას ორთაბრძოლა აზი დაუმთავრებია.

მეათე ტურში უნგრელებმა ინგლისელებს აჯობეს 2:1 და 24,5 ქულით საბჭოთა ნაკრებთან ერთად იყოფენ პირველ ადგილს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, გალიამოვას პარტიის შედეგი ჯერ უცნობია.

ქალთა ტურნირის სხვა შეხვედრებიდან შეიძლება გამოვყოთ: ჩინეთი — საბერძნეთი 2:1, ბულგარეთი — გფრ 2,5:0,5, ისრაელი — აშშ 0:3, არგენტინა — შეგოსლავია 1:2. საბჭოთა და უნგრელ მოჰადრაკეებს შესამჩნევად დაშორებულ ჩინელები — 20 (1), ბულგარელები — 19,5 და ამერიკელები — 18,5.

ვაჟთა გუნდს კუბელებთან გამარჯვების შემდეგ (3,5:0,5) 28 ქულა გაუხდა და ისიც ლიდერია. მომდევნო ადგილებზე არიან: ინგლისი — 26,5 (1), იუგოსლავია-I —25,5, ბულგარეთი — 25, აშშ და ჩეხოსლოვაკია — 24,5 ქულა თითოეულს.

რას გადაწყვეტს კონგრესი?

ნოემბერი ხადის ოლიმპიადა კვლავინდებურად დიდ ინტერესს იწვევს. მასზე ბევრს წერს იუგოსლავიური და ევროპული პრესა.

— რატომ არ თამაშობს თქვენს გუნდში გატა კამსკი? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა ამერიკელ დიდოსტატებს.

— კამსკიმ, უფრო სწორად კი მამამისმა რუსტემმა, მოისურვა, მის შვილს მაინცდამაინც პირველ დაფაზე ეთამაშა. არგუმენტად ასახელებდნენ იმას, რომ აშშ-ის მოჰადრაკეებს შორის გატას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს — მსოფლიოში მერვე. ჩვენმა ფედერაციამ ასეთი დადგენილება მიიღო: მოდით, გავითვალისწინოთ უკანასკნელი ორი წლის საერთო რეიტინგები. ასეთი მონაცემებით გატა გუნდში ვერ მოხვდა — რაც უნდა იყოს, იგი ხომ მხოლოდ 16 წლისაა.

ეს ისიც ყურადსაღებია, რომ აშშ-ის ვაჟთა გუნდში მხოლოდ ერთი ემიგრანტი თამაშობს — წარსულში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბორის გულკო — დანარჩენები კი ამ ქვეყანაში დაბადებულნი არიან. სამაგიეროდ, აშშ-ის ქალთა ნაკრებში ერთბაშად სამი ემიგრანტია საბჭოთა კავშირიდან — ელენა ახმილოვსკაია, ანა ხაშარუმოვა და ესთერ ეპშტეინი.

— რატომ არ თამაშობს თქვენს გუნდში ენტონი მაილსი? — ეს კითხვა დაუსვეს ინგლისელებს.

— მაილსი ახლა ბირმინგჰემში ცხოვრობს. მანამდე მან რამდენიმე წელი გაატარა აშშ-ში. გაისიდან იგი კვლავ ინგლისის ნაკრებში გამოვა — თქვა ინგლისელმა დიდოსტატმა მიურეი ჩანდლერმა.

საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა სერგეი მაკარიჩევმა განაცხადა:

— ჩვენ ახლა კასპაროვიც გვაკლია და კარპოვიც. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტები ვართ.

იუგოსლავიის ვაჟთა ნაკრების მწვრთნელის, დიდოსტატ ბორა ივკოვის აზრით, ჩემპიონობის პრეტენდენტი რეალურად ოთხია: საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, ინგლისის და იუგოსლავიის გუნდები.

ამ, ასე ვთქვათ, მიმდინარე საკითხებთან ერთად, ყველას აინტერესებს, რას გადაწყვეტს ფიდე-ს კონგრესი (იგი ხვალ იწყებს მუშაობას), მისცემს თუ არა შემდგომში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ნაკრებებს ოლიმპიადებში მონაწილეობის მიღების უფლებას. სამივე ნაკრების წევრები თავიდანვე ჩამოვიდნენ ნოვი სადში: აქ არიან მსოფლიო ექსჩემპიონი ტალი, გიპსლისი, ელვესტი და სხვები, რომლებიც მოუთმენლად ელიან გადაწყვეტილებას. საქმე ის არის, რომ სამივე ეს ფედერაცია ადრე ფიდე-ს წევრი იყო და, როგორც ცნობილია, ისინი არავის გაურიცხავს. ფიდე-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა რაბელ მენდესმა (პუერტო-რიკო) განაცხადა, რომ იგი მტკიცედ უჭერს მხარს ბალტიისპირეთის სამივე ფედერაციის მიმართვას ფიდე-ს წევრად აღდგენის შესახებ.

ევროპის ჩემპიონატი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი შედგა VI საკვალიფიკაციო ჯგუფში. მალტის ნაკრებმა ქალაქ ვალეტაში მიიღო ფინეთის ნაკრები. არსებითად, ეს იყო აუტსაიდერთა შეხვედრა. ჯერ მელიც ფრედ დამთავრდა — 1:1.

დაწინაურდნენ მასპინძლები (74-ე წუთი, სუდა). მალტელებმა მხოლოდ 87-ე წუთზე გაათანაბრეს ანგარიში (ტაურინენი).

ორი ტურის შემდეგ VI ჯგუფში 3 ქულით ლიდერობენ პორტუგალიელები, საბერძნეთის, ჰოლანდიისა და ფინეთის გუნდებს 2-2 ქულა აქვთ, მალტელებს — 1.

• • •

● **მოგესხენებათ**, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორგანიზატორებმა გაახანგრძლივეს იმ ქალაქების მიერ განაცხადების შემოტანის ვადა, ვისაც ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. სადღეისოდ ასეთთა რაოდენობა უკვე 32-ს აღწევს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია კი იტყობინება, რომ ჩემპიონატის მატჩები უნდა ჩატარდეს 8 ან, უკიდურეს შემთხვევაში, 12 სტადიონზე.

● **პარიზი.** მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქემ უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალში — „მონაკომ“ საფრანგეთის ჩემპიონატის მე-17 ტურის შეხვედრა სტუმრად მოუგო „ბრესტს“. გადამწყვეტი გოლი 89-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა სიზემ.

საფრანგეთის ჩემპიონატში ლიდერობს „მარსელი“. მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ „მონაკო“ და „ოსერი“.

● **ათენი.** „ოლიმპიაკოსმა“ მეტოქის მინდორზე ფრედ დაამთავრა შეხვედრა „იონიკოსთან“ 2:2. მან ლიდერობა დაუთმო „პანათინაიკოსს“, რომელმაც სტუმრად „აეტთან“ გამარჯვების შემდეგ (2:1) 13 ქულა დააგროვა.

● **რომი.** იტალიის ჩემპიონატში „ინტერმა“ საკუთარ მინდორზე უკდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგო „ნაპოლის“ — 2:1 და დაეწია „სამპდორიას“, რომელმაც შინ მარცხი მოწვნია თანაქალაქელთა გუნდ „ჯენოვასაგან“ — 1:2. „ინტერს“ და „სამპდორიას“ ამჟამად 15-15 ქულა აქვთ. ლიდერებს ქულით ჩამორჩება „იუვენტუსი“, რომელმაც სტუმრად წააგო „ბარისთან“ — 0:2.

● **მადრიდი.** მადრიდის „რეალს“ სათავეში ჩაუდგა ალფრედო დი სტეფანო, „რეალმა“ მისი ხელმძღვანელობით ანგარიში 3:0 დაამარცხა „ბეტისი“. ამ გამარჯვებით „რეალმა“ მეექვსედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ ძველებურად 5 ქულით ჩამორჩება ლიდერს — „ბარსელონას“, რომელმაც მეტოქის მინდორზე ანგარიშით 1:0 მოუგო „სევილიას“.

● **დრეზდენი.** აქ შედგა ამხანაგური მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 1:0. როგორც ცნობილია, გერმანიის გუნდები სულ ახლახან გაერთიანდნენ ერთ ლიგად, „დინამო“ და „ბაიერნი“ კი დემოკრატიული რესპუბლიკისა და ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონები იყვნენ.

● **გერმანიის** ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა დაასახელა ნაკრების შემადგენლობა 19 დეკემბერს შვეიცარიის გუნდთან შეხვედრისთვის. ახალ ნაკრებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 5 ფეხბურთელი შევიდა: ბრეიტიგამი, ზამერი, კირსტენი, დოლი და ტომი. ამ ახალწვეულთაგან მხოლოდ მეკარე ბრეიტიგამი იცავს ძველებურად იენის „კარლ ცაისის“ კარს, დანარჩენები კი კარგა ხანია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებში გამოდიან.

● **ბუქარესტი.** რუმინეთის ნაკრებისა და ბუქარესტის „დინამოს“ ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დანიელ ტიმოფტემ ჟურნალისტებთან საუბარში გააკრიტიკა ის სიახლენი, რომლებიც შემოიღო რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ. ახალი წესით, თითოეულ რუმინულ კლუბს უფლება აქვს უცხოეთში გაუშვას წელიწადში არა უმეტეს ორი მოთამაშე. გარდა ამისა, უცხოეთში კონტრაქტის დადება შეუძლიათ მხოლოდ 28 წლის ფეხბურთელებს ან იმ შედარებით ახალგაზრდებს, ვინც სულ ცოტა 40 ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. 23 წლის დ. ტიმოფტეს უკმაყოფილება გასაგებია, ვინაიდან მას მეტად ხელსაყრელ კონტრაქტს სთავაზობს გერმანიის ქალაქ იურდინგენის „ბაიერი“.

საფეხბურთო კურიოზები

1990 წლის 5 თებერვალს „ოქროს ბუცი“ ჩამოერთვა 1987 წლის ამ საპატიო პრიზის მფლობელს, ბუქარესტის „დინამოს“ თავდამსხმელს როდიონ კმამატარუს, რომელმაც იმ სეზონის ბოლო ოთხ მატჩში... 14 ბურთი გაიტანა. 1987 წლის „ვერცხლის ბუცის“ მფლობელმა ანტონ პოლსტერმა (ვენის „აუსტრია“), უარი განაცხადა მიეღო თავისი კუთვნილი პრიზი. პოლსტერი კამატარუს ბრალს სდებდა არაკეთილსინდისიერებაში. ევროპის სპორტული მომამხილველების აზრით, კამატარუს მიღწევა (44 ბურთი სეზონში) არ შეიძლება ჩაითვალოს რეკორდად, რადგან რუმინული კლუბების მთავარი ამოცანა 1987 წლის სეზონში იყო ის, რომ კამატარუს რაც შეიძლება მეტი გოლი გაეტანა და „ოქროს ბუცს“ დაუფლებოდა.

კურიოზული შემთხვევები არც მეკარეებს დაჰკლებიათ. 1950 წლის 24 მაისს ლენინგრადის „ზენიტმა“ მეკარემ შეხტელმა თავის საჭარიმოდან ისე ძლიერად დაარტყა ბურთი, რომ იმ დროისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილმა მოსკოვის „დინამოს“ კარის დარაჯმა ლევ იაშინმა ისღა შეძლო, რომ თვალი გაეყოლებინა ბურთისათვის, რომელიც კარის ბადეში აღმოჩნდა. 1979 წელს პოლონეთის ჩემპიონატის მატჩში პოზნანის „ოლიმპიის“ მეკარე ბუდეგამ ხელით ისე ძლიერად ისროლა ბურთი, რომ იგი მოწინააღმდეგის კარში გავიდა... რა თქმა უნდა, ძლიერი ქარის ხელშეწყობით.

ასტრონომიული ანგარიში დაფიქსირდა თბილისში, სადაც ქართველი იუნიორები როსტოვის „შრომითი რეზერვების“ გუნდს ხვდებოდნენ. მასპინძლებმა ეს შეხვედრა 30:0 მოიგეს. მატჩის შემდეგ როსტოველებმა ხელში აყვანილი გაიყვანეს თავიანთი გოლკიპერი. როცა სტუმართა გუნდის კაპიტანს ჰკითხეს, რით დაიმსაზურა მათმა მეკარემ ეს პატივი მან უპასუხა:

— ბევრი მეკარე როდი დაიკვეხნის ერთ თამაშში ამდენი ბურთის გაშვებას, ხომ უნდა დაამახსოვრდეს თავისი რეკორდი.

მოამზადა
ნოდარ გესელაშვილმა

„სპორტპროგნოზი“, 49-ე ტირაჟის პროგრამა (9 დეკემბერი)

		პროგნოზი			
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში					
1. „ატალანტა“ (ბერგამო) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	9.XII	60	20	20	2
2. „ჩეზენა“ (ჩეზენა) — „ინტერი“ (მილანი)	9.XII	10	50	40	2
3. „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „ბარი“ (ბარი)	9.XII	70	20	10	X
4. „ლაციო“ (რომი) — „ჯენოვა“ (გენუა)	9.XII	40	50	10	X
5. „ლეჩე“ (ლეჩე) — „კალიარი“ (კალიარი)	9.XII	20	60	20	2
6. „პარმა“ (პარმა) — „ბოლონია“ (ბოლონია)	9.XII	50	40	10	2
7. „სამპდორია“ (გენუა) — „რომა“ (რომი)	9.XII	40	50	10	1
8. „ტორინო“ (ტურინი) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	9.XII	20	70	10	1
ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში					
9. „ხარაგოსა“ (ხარაგოსა) — „ბარსელონა“ (ბარსელონა)	9.XII	20	60	20	2
10. „კადისი“ (კადისი) — „ატლეტიკო“ (მადრიდი)	9.XII	10	50	40	X
11. „რეალი“ (სან-სებასტიანი) — „სპორტინგ ხიხონი“ (ხიხონი)	9.XII	60	20	20	X
12. „ვალენსია“ (ვალენსია) — „ბეტისი“ (ხევილია)	9.XII	20	60	20	X
საკონტინენტთაშორისო თასი ფეხბურთში					
13. „ოლიმპია“ (პარაგვაი) — „მილანი“ (იტალია) ჭ. ტოკიოში	9.XII	10	20	70	X

შენიშვნა: მე-13 წყვილის შედეგი განისაზღვრება მატჩის ძირითადი დროის მიხედვით.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ჭ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
მდივანი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„შერანი“ — 93-97-20, „შორავე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ჭ. კოსტავას ქ. 14,
ობენდება ოფსეტური წესით სტამბაში: ზოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20